



ეკოსისტემა და გარემოს დაცვა

მაღალი დონე



საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორი:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ეკონისტემები და გარემოს დაცვა

შინაარსი

წყლის ეკოსისტემები	3
ადამიანი და გარემო	6
ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები	8

წყლის ეკოსისტემები

გახსოვთ, რომ ეკოსისტემები ძალიან განსხვავებულია? გახსოვთ, რომ ეკოსისტემები ბიომების და მიკროსისტემებისგან შედგება?

ზოგიერთი ეკოსისტემა ზღვისაა, ხოლო ზოგი კი - ხმელეთის. დედამიწის ყველაზე ვრცელი ოკეანის ეკოსისტემაა.




მიხვდით, რატომ არის ასე? ოკეანეები და მისი ბინადრები დედამიწის ზედაპირის სამ მეოთხედს შეადგენენ.



იცით, რომ დასალევად ვარგისი, მტკნარი წყლის ეკოსისტემები ძალიან ცოტაა და

ზედაპირის ფართობის 2%-ზე ნაკლები უკავიათ?
ამიტომ ეკოსისტემის შენარჩუნებაში ადამიანს
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.



ადამიანი და გარემო

ადამიანი განსაკუთრებულად მოქმედებს ეკოსისტემებზე. ჰაერის და წყლის დაბინძურებამ, ტყეების გაჩეხვამ და მდინარეების გადაკეტვამ შეიძლება სერიოზული პრობლემები შექმნას და ეკოსისტემის წონასწორობა დაარღვიოს.



ეკოსისტემების ცვლილებაზე ბუნებრივი მოვლენები და კატაკლიზმებიც მოქმედებენ. რომელი ბუნებრივი კატასტროფები გახსენდებათ? მიწისძვრა, მეხისგან ან ძლიერი სიციხისგან გამოწვეული ხანძარი, ვულკანური ამოფრქვევები, წყალდიდობები, ქარიშხლები - ბუნებრივი კატასტროფებია.



ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები

ხშირად ბუნებრივ კატასტროფას მრავალი სიცოცხლე ეწირება. ხელოვნური კატასტროფის მაგალითია ატომური სადგურის აფეთქება, რომელსაც ასევე ძალიან ბევრი სიცოცხლე ეწირება. ხელოვნურ კატასტროფას ხშირად ადამიანები იწვევენ. ადამიანის საქმიანობა ხშირად მოქმედებს ეკოსისტემაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად გამოვიყენოთ გარემო პირობები და არ დავაზიანოთ ის.

ზოგიერთი ეკოსისტემა მხოლოდ მცირე პერიოდი არსებობს. ზოგი ეკოსისტემა კი, მაგალითად, ტყე - რამდენიმე ასეული წელი შეიძლება არსებობდეს.



ეკოსისტემები თავისითაც იცვლება. ამას კლიმატის ცვლილება იწვევს. მაგალითად, ანტარქტიდაზე, რომელიც მთლიანად ყინულით არის დაფარული, გლობალური დათბობა ყინულის დნობას იწვევს.



ეკოსისტემის დაზიანებაა: ხის მოჭრა ან ნაგვის დაყრა, ბუნების დანაგვიანება.



ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დედამიწა ჩვენი სახლია. ჩვენს სახლს უნდა გავუფრთხილდეთ.

